



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური  
ობსერვატორიის დირექტორის**

**ბრძანება № 03-01/16**

ქ. თბილისი

09.10.2020 წ.

**ცვლილება „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“  
2020 წლის 1 ივლისის №03-01/07 ბრძანებაში**

მიმდინარე წლის 1 ივლისს „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) დირექტორის №03-01/07 ბრძანებით ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობებზე გამოცხადა ღია კონკურსი. ამავე ბრძანებით დადგინდა კონკურსში მონაწილეობის პირობები თითოეული სამეცნიერო თანამდებობისათვის.

კონკურსის ღიაობისა და მასში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვხელმძღვანელობ რა, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების პრინციპით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის“ წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ს“ ქვეპუნქტებისა და მე-9 მუხლის მე-4-მე-7 პუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ 2020 წლის 1 ივლისის №03-01/07 ბრძანებაში, კერძოდ, მის მე-3 დანართში:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*„გ) განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ, 2010 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია მაღალი (>2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.“;*

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


*„ბ) 2010 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.“;*

გ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*„ბ) 2010 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 3 სტატია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.“.*

2. დაევალოს დირექტორის თანაშემწესა (ე. დოხნაძე) და საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს (თ. მერაბიშვილი) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოცხადება: ობსერვატორიის თანამშრომელთა ინფორმირება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, ობსერვატორიის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და ინფორმაციის ობსერვატორიის ვებ-გვერდზე ([www.abao.ge](http://www.abao.ge)) განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



რევაზ ჭანიშვილი